დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

14 / აპრილი / 2025 წ.

№ **17/1076**

KA990136792631825

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 01.04.2025 წლის № 6/17274 წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, მიხაი-ზიჩის ქუჩა N12-ს მიმდებარედ არსებული 29 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პრივატიზებასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიციის დაფიქსირების საკითხს.

კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მიხაი-ზიჩის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ექცევა ძეგლის სტატუსის მქონე ათეულობით შენობა-ნაგებობის ინდივიდუალური დამცავი ზონის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის: ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას; ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა; გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას; დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ქ. თბილისში, მიხაი-ზიჩის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ძეგლის დაცვის არეალში დაგეგმილი ნებისმიერი სამშენებლო განვითარება უნდა შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან

პატივისცემით,